# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1106

დამატების № 195

კვირა, 2 თებერვალი 1914 წ.


## უცხოები

— დედი!.. რასა ჰფუსფუსებ, ადამიანო, ვერ მორჩი?!—შეეკითხა ნინო დედას. წაბლის წვით თავ-მობეზრებულმა ჩხირი გადააგდო, ბუხრის თავისკენ ხელი ასწია და იქიდან ჟურნალ „Нива“-ის რაღაც ძველი წიგნი ჩამოიღო. წიგნი შეკეცილი იყო და მისი კითხვა დილითვე ჰქონდა დაწყობილი. ნინომ წიგნი ცეცხლისაკენ დაჰხარა, იდაყვით მუხლს დაეყრდნო და წიგნს ჩააცქერდა.

— აი, ე ქურქელიც დავალაგო და ყველაფერს მოვრჩები. მხოლოდ ნიგოზი მაქვს დასამტვრევი და თაფლი გადასაწური.

— რად გინდა, ადამიანო!—წამოიძახა ნინომ. ვინ არის მჭამელი!?

— რატო ისე ჰლაპარაკობ? ბედნიერ დღეს, ახალ წელს გოზინაყი რად მინდა, სადაურია? ესეც არ იყოს, ამაღამ ი ბიჭს ველი, ეგების ამოვიდეს, არარა უნდა დავახვედრო?

„ი ბიჭი“—ფიქრში გაიმეორა ნინომ დედის სიტყვები და გულმა გაუღიმა. ამ ორ სიტყვაში დიდი ალერსი იყო, ალერსი ჩუმი, მუდმივი, მძლავრად მოსიყვარულე; ამ სიტყვებში მსოფლიო ალერსი იყო დედის გულისა და ამ ალერსს დის გულიც გამოეპასუხა.

ნინოს წარმოუდგა ახოვანი, მოხდენილი, პირ-წითელა, შავ-თვალა და ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი ძმა. უკანასკნელად იგი ნინომ სამი წლის წინედ ჰნახა, როცა ძმას სამხედრო სასწავლებელი ახლად ჰქონდა გათავებული. მაშინ ერთი-ათად შეუყვარდა. ახლა კი, როდესაც დედამ უნებლიედ მოაგონა ის ადამიანი, რომელთანაც შეიზარდა, რომელიც ბავშობიდანვე ძლიერ შეუყვარდა, რომლისათვისაც დარწმუნებული იყო, სიცოცხლეს არ დაჰზოგავდა, გაიხარა. სრული დღის, შეიძლება, სრული წლის მოწყენილობა, მხოლოდ ეხლა დაირღვა. ნინო წიგნს ჩასცქეროდა, მაგრამ არა ჰკითხულობდა და მოგონებაში იყო გართული. მოიგონა თავიანთი ბავშობა, ტყე-მინდორში სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად რომ დარბოდნენ, როცა გიორგი მას სცემდა და ხშირად უმიზეზოდ ატირებდა კიდეც ხოლმე. მხიარული იყო ის დრო. მერე მოაგონდა ის დრო, როცა გიორგი მამამ ქალაქს გაჰგზავნა სასწავლებლად. ნინო მაშინ მარტო დ მოწყენილი დარჩა და მას შემდეგ აქამდის თავს ობლადა ჰგრძნობს. მხოლოდ მაშინ იცვალა ფერი ცხოვრებამ, როდესაც ნინოც სასწავლებლად გაჰგზავნეს ერთს პანსიონში. ათის წლის შემდეგ ისევ სოფელს დაბრუნდა და ცხოვრება ძველებურად მოეწყო: მარტო, ობოლი, მხოლოდ უფრო დამძიმდა, უფრო მოწყენილი გაჰხდა. ძმა შინ იშვიათად იყო ხოლმე, უმეტეს დროს ქალაქში ატარებდა დ სოფლად მარტო ზაფხულობით მოდიოდა. მაშინაც ხან ამხანაგებს დასდევდა, ხან სანადიროდ დადიოდა და დას არა ჰმეგობრობდა, მაგრამ დამ მაინც შეიყვარა; მაინც გულში ჩაისვა. ეს უსასყიდლო სიყვარული იყო, სიყვარული დის ბუნების სიღრმიდან ამოსული, ერთი იმ გვართაგანი, როგორიც ადამიანს იგი არაფრით აქვს დამსახურებული. და სიყვარული ნინოს სახალხო მოძრაობის დროს მოსვენებას არ აძლევდა. იცოდა, მისი ძმა ამ მოძრაობის მონაწილე იყო, საფრთხე მოელოდა. ამიტომ ნინო მუდამ შიშში იყო. მრავალი უძილო და თვალ-ცრემლიანი ღამე გაუთენებია ნინოს დედასთან ერთად ძმის ფიქრში. ეხლა, როდესაც საფრთხე გაიარა, ძმა სამხედრო სამსახურში შევიდა, ნინო



**ნ. კ. მიხაილოვსკი.**

(იხ. დღევანდელი „სახ. გაზ.“)



**ზ. გულისაშვილი** (მასწავლებლობის დროს).



**მღვ. ზ. გულისაშვილი** გარდაიცვალა 1914 წ. 24 იანვარს.



„ხინათლე“ ი. გედევანიშვილისა." (მესამე მოქმედება).

მშვიდად იყო და მხოლოდ ძმის ამბის მიუღებლობა აწუხებდა ხოლმე.

თვალი დახუჭა და გიორგი წარმოიდგინა ისეთი, როგორიც ბოლო-დროსა ჰნახა: ცხენზე კოხტად მჯდომარე, ბჭყვრიალა ტანისამოსით და ხმალ-დეზით მოკაზმული, ლამაზი, ტან-სუსტი, მაგრამ ახალგაზდა და ღონიერი.

— რად შევიდა აფიცრად?!—გაიფიქრა ნინომ ერთბაშად და პირველად მოუვიდა მას ეს აზრი. წინად ეს არ უფიქრია, ეხლა კი უკვირდა, რომ მისი ძმა თავის აზრთა წინაამდეგი გაჰხდა. საქციელი როგორღაც არ მოჰსწონდა ნინოს, მის სიყვარულს ძმისადმი მთლად მუქი რამ ეფ-ნებოდა. ნინო სცდილობდა ძმის საქციელის გამართლებას, მაგრამ ეძნელებოდა.

— არაფერია!—გაიფიქრა მან ბოლოს.—ყველაფერი დრომ იცის. გიორგი კი კეთილი და პატიოსანი კაცია. ცუდს არას ჩაიდენს. ნეტა რას იტყოდა მამა, ეხლა ცოცხალი რომ იყოს?! გაეხარდებოდა გიორგის აფიცრობა თუ არა? არა, არ გაეხარდებოდა. გაჩუმდებოდა, არას ეტყოდა გიორგის, მაგრამ გული კი დასწყდებოდა.—დარწმუნებით არ იცოდა ნინომ, მართლა ასე იქნებოდა თუ არა, მაგრამ უნდოდა კი, რომ ასე ყოფილიყო.

ფიქრმა ნინო იქ წაიყვანა, სადაც მისი ძმა იყო: შორეულ, უცხო და სხვა-გვარ ცხოვრებაში. იქ, იმ მხარეს დიდი სიცოცხლე უნდა იყოს, სიცოცხლე მხიარული, ჭირ-ვარამიანი, სიყვარულით სავსე, ისეთივე ნათელი და ბჭყვრიალა, როგორც გიორგის ტანისამოსი და სახე. ის ცხოვრება აქაურ ცხოვრებას არ უნდა ჰგვანებოდა.

— ამ გვარ ცხოვრებაში ადამიანს თავის მოკვლის აზრიც არ მოუვა.—გაიფიქრა ნინომ და გააჟრჟოლა.—ფერშლობა მაინც მესწავლა, გლეხებს მოვუვლიდი.—ამ ნატვრამ ნინოს ფიქრი ოცნებად უქცია, დიდ, მხიარულ ნათელ ოცნებად და სრულიად დაავიწყა ის, რასაც ჰფიქრობდა.

— ადე, გოგო! ე „რუბაშკაზე“ ღილები მაინც დაიკერე, მე დაღალული ვარ.—უთხრა დედამ და ბუხართან ჩაცუცქდა.—სახვალიოთ ჩასაცმელი არა გაქვს რა.

— სულ ერთია, თეთრს ჩავიცვამ. ახალი რა საჭიროა—უპასუხა ნინომ.

— ნუ მოჰყვები ხოლმე შენებურ დაუდევრობას!—შეუყვირა დედამ: რა საჭიროა, რომელია?! ახალგაზდა ქალი ხარ და ახალ-წელიწადს ახალი არა უნდა გე[..]ვას რა?! შენი დაუდევრობა, თორემ კაბაც მზად უნდა გქონდეს. ადე, ადე, დედა-შვილობასა, ნუ ჰზარმაცობ. ი ბიჭი მოვა და აგრე ხომ ვერ დაჰხვდები? სახლში ამდენი ხანია არა ყოფილა და ურიგოდ დახვედრა სირცხვილია.

ძმის გახსენებაზე ნინოს გულმა კვლავ გაუღიმა. მიჰხვდა, რომ დედა ყველაფერს გიორგის მოსასვლელად ამზადებდა, სცდილობდა ყველაფერი სადღესასწაულოდ მხოლოდ გიორგისათვის მოეწყო, მიჰხვდა იმასაც, რომ დედა მას არ უმჟღავნებდა თავის გულის ნადებს. ეამა ნინოს ეს, თითონაც მოუნ[...] და მონაწილე ყოფილიყო ამ დღესასწაულისა.

— ადე კატავ! აქ რად მოკალთუღაარ!—ხელი ჰკრა მის მუხლებზე მჯდომარე კატას და წამოდგა. შეწუხებული კატა შეიბერტყა, გაიზმორა და ისევ ბუხართან ჩაცუცქდა. ნინომ საკერავი აიღო, მაგიდასთან ლამფას მიუჯდა და ხელ-საქმე დაიწყო.

მისი გონება ისევ გიორგის დასტრიალებდა. ნინო ჰფიქრობდა თავის ძლიერ სიყვარულს ძმისადმი და იცოდა, რომ ეს სიყვარული ძმისათვის დამალულია. არც არა დროს გაუმ[...] ხელს ნინო ძმას ამ სიყვარულს, რადგანაც, ეს რომ მოჰხდეს, ნინოს შერცხვება. ეხლაც, სახვალიოდ „რუბაშკას“ რომ იმზადებდა, ეშინოდა გიორგი არ მიჰხვდეს, რომ ეს მზადება მხოლოდ მისთვის არის, რომ ახალ ხალათს მის დასახვედრად ვამზადებო. მაგრამ იცოდა, რომ გიორგი ახალ ტანისამოსს ახალწელს მიაწერდა და ამიტომ გულ-მშვიდად მუშაობდა. სხვა დროც კი რომ ყოფილიყო, მაშინ ნინოს შერცხვებოდა, თუ ძმა გაიგებდა მის თავისადმი სიყვარულს და ნინო ამიტომ ახალ ხალათს არ შეიკერავდა.

შალ-წამოსხმული ნინო ჩუმად იჯდა, მის თითებში ნემსი უხმოდ დასცურავდა. ბუხართან ჯდომით გაწითლებული ლოყები ეხლა უფითრდებოდა და მთელ სახეს ჩუმი, უსიცოცხლო გამომეტყველება ჰქონდა. დედა ცეცხლს მისჩერებოდა და ისიც ჰფიქრობდა. იგი ფიქრი კმაყოფილება იყო ვაჟი-შვილის ბედისა, ხოლო ქალის ბედისას ბევრსა ჰზრუნავდა: ამ გამოყრუებულ სოფელში ნინოის ბედის მოწყობა ძნელი იყო.

სადღაც მგელმა დაიყმუილა.

— აი, გაწყვეტა შენი!—დაიწყევლა კნეინა.—გუშინ ღა[...] სოფოს ბატკანი გაუტაცნია. ერთად-ერთი ჰყავდა. იმის ცოდ[...]ვით დავიწვი.

ნინომ დედას ხმა არ გასცა. ეს ამბავი ბარემ მეოთხე[...] ესმოდა. მგლის ყმუილმა კი შეჰზარა.

— გასაძაგლდა ხალხი!—სთქვა ისევ დედამ.—დასწყევლო ღმერთმა! ერთი მგელი სოფელს ამოგდებას უქადის და [...] ვერ მოჰკლეს.

მგლის ყმუილზე სოფლის ძაღლები აზავ-ზავდნენ. ნა[...]დირმა ყმუილითვე გასცა პასუხი. თოვლიან მთებმა მხეცთ[...] ძახილი შორით-შორს გასტყორცნა და მისი გამოძახილი[...] მიდამო გაავსო.

საშინელი რამ სურათი იყო: ამ მშვიდ, უსიცოცხლო, მ[...]ძინებულ სოფელში, სადაც მხოლოდ მოწყენილობა ჰსუფევ[...] და, ცხოველი ცხოველს უღრინავდა. ამით საზარლობის, და[...]



**ა. ს. გრიბოედოვისა და მისი მეუღლის აკლდამაში მდგარი ძეგლი**
(მამა დავითის ეკლესიის ეზოში)



**ა. ს. გრიბოედოვი** („ვაი ჭკუისაგან“-ის დამწერი. მისი გარდაცვალების 85 წლის თავის გამო)



**ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე**
(გრიბოედოვის მეუღლე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდობლობის, სიმკაცრის ელფერი ეფინებოდა მიდამოს. ეს ყმუილი და სიმკაცრე თითქოს ნამდვილ ცხოვრების სიმბოლო იყო, იმ ცხოვრებისა, რომელიც ნინოს გარშემო კი არ არის, არამედ სხვაგან, შორს. ეს სიმბოლო სიმკაცრისა არსებობდა იქ, სადაც ცხოვრება ისეთი მშვიდი და წყნარი იყო, რომ ახალი გულიც კი ვერა ჰღელავდა.

ნინო ამ ყმუილს აგერ მეოთხე წელიწადია ყურს უგდებს, მას შემდეგ რაც სასწავლებელი გაათავა და სოფლად დაბრუნდა. მან ის საზარლობა წარმოიდგინა, რომელიც მის დედას უნდა განეცადნა ქმრის სიკვდილის შემდეგ. სამი წელიწადი დედა მარტო იყო ამ ადგილას, სცხოვრობდა ჩუმად და შვილების დაბრუნებას უცდიდა. ნინო კი დაბრუნდა, მაგრამ გიორგი კი არა... როცა ნინომ ეს წარმოიდგინა, გაუკვირდა: რა აცხოვრებდა ამ ადამიანს, თვალ-ცრემლიანს, მოხუცს ამ უდაბნო ადგილას მარტოსო!

— ჩვენი ბედი და მომავალი! ეს იყო, რაც მას ასულდგმულებდა, გაიფიქრა ნინომ.

დერეფანში ხმაურობა გაისმა. დედა-შვილმა ყურები ცქვიტეს. ნინოს გულში შიშმაც კი გაუელვა.

— აქა მშვიდობა.—ოთახში გლეხი შემოვიდა და ნაბდის პატარა ქუდი, რომელიც თავზე ძლივს მოსჩანდა, მოიხადა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო შაქრო!—უპასუხა კნეინამ.—რა ამბავია, ბიჭო, ამ შუა ღამისას რამ ამოგიყვანა?!

— არაფერი. ცული ამოგიტანეთ. ახალ-წელს თქვენი საქონელი თქვენსა იყოს.

— რა არის შაქრო! მთელ სოფელში კაცები აღარ ხართ? ერთი მგლის მოკვლა როგორ გაგიძნელდათ, თქვე კაი ხალხო, სოფელი ამოაგდო.—უსაყვედურა ნინომ.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე! თოფი ჩვენ არა გვაქვს და დამბაჩა. ცულებით ხომ ვერ გამოუდგებით. ესეც არ იყოს, ეგ ერთია აძაღლებული, სხვა ათასი. მაგას მოვკლავთ, მეორე გამოჩნდება.—თავი იმართლა შაქრომ.

კნეინამ ცული გამოართვა.

— ეს არის ეხლა ჩვენი ალექსა მოვიდა ქვეიდან. გზაში თქვენი გიორგი შეჰხვედრია და დაუბარებია: დილაზე ამოვალო. ეხლა პრისტავიანთას არის. ახალი წელი ერთად დავიყენოთო, ქალებს არ გამოუშვიათ.—სთქვა შაქრომ, გამოემშვიდობა და სახლიდან გავიდა.

— ქაა—და! სახლამდის ვეღარ ამოაღწია?!—გაიკვირვა დედამ.

ნინომ გულ-დინჯად უპასუხა:

— კარგი უქნია, რომ დარჩენილა ამ ღამე, სადღა ევლო ვერ უყურებ, რა ქარ-ბუქი და სამგლე გზაა?—გული კი ძალიან ეტკინა.—ორი ვერსი გზა დააკლდა! სახლამდის ვეღარ მოაღწია!—გაიფიქრა მან.— ჰო! ახალგაზრდაა, ცხოვრება იცის. ბოქაულისას მხიარულებაა, ახალგაზრდა ქალები არიან! აქ კი სიჩუმეა. ბოქაულიანთ მუდამ უქმე დღეს დიდი მხიარულება იციან.—ორი გასათხოვარი ქალი ბოქაულისა, გიმნაზისტი ვაჟი-შვილი, სტუმრები იქაურობას სიცილით აკლებენ,—თითონაც იყო მიწვეული, მაგრამ წასვლა დაეზარდა, ცუდი ამინდი იყო, თან ძმას ელოდა.

დედა-შვილი, რაკი აღარავის მომლოდინენი იყო, დასაძინებლად დაწვა.

მათი ძილი ჩვეულებრივი იყო, სალი. მაგარი, უსიხარულო, უდარდო, უსიზმრო. ძილი ისეთი, რომელიც ცხოვრებისაგან დაღალულ ადამიანს კი არ მოსდის, არამედ მარტოობით დაღალულს. ამ ძილში დავიწყებული იყო ცხოვრებაც, ქვეყანაც, სიცოცხლეც, ისე როგორც მათს ღვიძილში. ბუხარში ცეცხლი ჩაიმუმლა და წითელ ლაქასავით ფილაქანს ანათებდა. კატა ისევ თავის ადგილას მიცუცქულიყო და სთვლემდა... და სთვლემდა ცხოვრება ჭაბუკი, მოხუც ცხოვრების გვერდით, სთვლემდა ძალა სიცოცხლისა ახალგაზრდა გულში ჩამარხული, ჯერედ განუღვიძარი სიყვარული, დარდი და ვარამი.

დილით ნინომ ტუჩებზე რაღაც ფათური იგრძნო და გაეღვიძა.

— ასე ტკბილად დაჰბერდი, შვილო!—შემოესმა დედის ხმა. ნინომ თვალებ-გაუხელებლივ პირი გააღო და დედამ გოზინაყის ნაჭერი ჩაუდო. ნელა, ზანტად დაჰღეჭა ნინომ გოზინაყი და დაიძახა:

— კიდევ!

დედამ მეორე ნაჭერიც ჩაუდო პირში.

— ადე, დროა, საცაა გიორგიც ამოვა!—მიაძახა მან.

ნინომ თვალები გაახილა და გაიზმორა. ზამთრის ცივ მზეს, ფანჯარაში რომ იჭყიტებოდა, სიამოვნებით გაუღიმა. ბუხარში ახალი და დიდი ცეცხლი ენთო. ოთახში თბილოდა. ნინოს მოაგონდა, რომ სხვაგან ნამხიარულევი ძმა დღეს მოვა და გული სიამოვნებით გაევსო. პირში ჩამდგარმა გოზინაყის სიტკბოებამ ახალი-წელი მოაგონა და ესეც ეამა. საბნიდან ხელები ამოჰყო, თითები გადააქდო, მკლავები დაიჭირა და კვლავ გაიღიმა. ლოგინში მწოლარემ თავის საყვარელ კატას დაუძახა და თამაშობა დაუწყო. ესიამოვნებოდა, როდესაც მის ქალურ, ნაზ კანს კატის რბილი ბეწვი ეხებოდა და გათამამებული ცხოველი მკერდს და მკლავებს სიფრთხილით უფხაჭნიდა. ბოლოს ადგა, ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და ძმის გზას დაუწყო ცქერა.

გიორგი მხოლოდ შუა-დღისას ამოვიდა. მის სახეს ღიმი ედვა, მაგრამ სიხარულისა, დიდი. საიმედო, შინ დაბრუნებისა სიხარულისა კი არაფერი ეტყობოდა. წინა ღამის ნაქეიფარს და ნამხიარულევს დაღლილობა და უძილობა ეტყობოდა, ხოლო მისი ქცევა, მიალერსება, მისალმება ისეთი იყო, თითქოს იგი ამ ოჯახის ღვიძლი-შვილი კი არ არის, არამედ დიდი ხნის კარგი ნაცნობიაო. დამ ეს კოცნის დროს იგრძნო, დედამ კი შვილის ხვევნაში შვილური ვერა ჰნახა რა—გულის სიღრმეში ქალებმა სევდა იგრძნეს—გიორგი დაღალული, უცხო და უცნაური დასაძინებლად დაწვა. დედა-შვილი მთელს დღეს ფეხ-აკრებით მოძრაობდნენ, კარს უკან ჩურჩულით ჰლაპარაკობდნენ და უცდიდნენ, თუ როდის გაიღვიძებს, რათა უქმე დღე გაატარონ. გიორგის კი ეძინა, დედა-შვილი ფეხ-აკრებით დადიოდა, ჩურჩულებდა, ფრთხილობდა, ისე იქცეოდა, როგორც არადროს და ეს იყო სამძიმო. უქმე დღე, ახალი წელი უსიხარულოდ, თუმცა კი ის, ვისაც ის სიხარული უნდა მოეტა მათთან ახლოს იყო, სულ ახლოს, მაგრამ გაუცხოვებული, გადაგვარებული და მძინარე.

საღამოთი, როდესაც გიორგიმ გაიღვიძა, საშინელი მოწყენილობა იგრძნო. არ იცოდა, რა ექნა, რა ეთქვა. თითქოს იგი ამ ოჯახის ნაშიერი არ არის, თითქოს შემთხვევამ უნებურად შემოაგდო მისთვის უცხო ადგილასო. იგრძნო, რომ მის და მის ოჯახის შუა რაღაც ძაფი იყო გაწყვეტილი, იგრძნო, რომ ის ძაფი იქ გაწყდა, საიდანაც მოვიდა. დიდი სევდა შემოაწვა იმისი, რაც ამ ოჯახში ენახა და ეხლა კი სადღაც ჰქონდა დაკარგული, ჰქონდა იქ, სადაც თავისი დღეები და ბჭყვრიალა ღილები იპოვა. მხოლოდ არ იცოდა, როგორ დაჰკარგა. ჯიბეებში ხელებ ჩალაგებული იგი ნელა მიუახლოვდა დას, გვერდით მიუჯდა და დიდხანს უცქერდა, თითქოს სცდილობდა ამოეკითხა მის თვალებში ისეთი რამ, რაც გულში დაკარგულს გაუღვიძებდა, დაუბრუნებდა ბავშობას, მაშინდელ სიხარულს და იმ ლამაზ სიცოცხლეს, და-ძმა როცა ტყე-მინდვრათ დარბოდა, ცელქობდა, ეკვროდა მშობელს და მშობელ მხარეს. უცქერდა დის თვალებს და იქ დაღონებულ გაკვირვებულ სიყვარულის მეტი ვერა ჰნახა რა.

— დროს როგორ ატარებ, ნინო, რას აკეთებ?—ჰკითხა ძმამ, იქნებ მხოლოდ იმისთვის, რომ რამე ეთქვა.

— არაფერს.—მოკლედ უპასუხა ნინომ და გაუღიმა. ეს ღიმილი გიორგის ძალიან მოეწონა. მიჰხვდა, რომ დაი გონების თვალით იმ ქვეყნისაკენ იცქირება, საიდანაც ეხლა თითონ მოვიდა, სადაც სხვა ფერი სიცოცხლეა, სადაც სიყვარული შესაძლებელია. იქ დიდი სინათლეა, მოსიხარულეა, ისეთი კი არა, როგორც აქა. ვინ იცის, იცხოვრებს იქ ნინო როდისმე, თუ არა.

(დასასრული იქნება).

**ი. ტატიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.